

ქ. რუსთავი

ერთის მხრივ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილის ნოდარ შეროზიას სახით და მეორეს მხრივ შპს „ნიუმშენი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილი მაზიაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვის კანონის და პრეტენდენტის (შპს „ნიუმშენი“) სატენდერო წინადადების SPA150007914 და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის N143 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „სამუშაო“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 ქალაქ რუსთავში თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები. (CPV45200000)
- 2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა და მოცულობა მოცემულია დანართ №1-ში და ასევე ელექტრონულ სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად ატვირთული ნახაზებში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 449 000 (ოთხას ორმოცდაცხრა ათასი) ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები



- 4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 4.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეტაპობრივად „მიმწოდებლის“ მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ფორმა №2-ისა და ანგარიშგაქტურის წარმოდგენის შემდეგ 20 სამუშაო დღის განმავლობაში. ფორმა №2 დამოწმებული და ხელმოწერილი უნდა იყოს ტექ. ზედამხედველისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მიერ.
- 4.3 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.
- 4.4 წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით. მხოლოდ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 2 თვით უნდა აღმატებოდეს სამუშაოს შესრულების საბოლოო ვადას.
- 4.5 დაფინანსების წყარო: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. (2015 წლის 5 თებერვლის N143 განკარგულება)

5. მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1 შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივად მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა №2-ს საფუძველზე დამოწმებული და ხელმოწერილი ტექ. ზედამხედველისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მიერ. ხოლო საბოლოო მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა №2-ს და მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულად მიღებულად მხოლოდ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში წარმოებულ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმღები ჯგუფის მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელსაც „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს აწერს მიმღები ჯგუფის წევრები და თავმჯდომარე. ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან შპს „ნიუმშენი“-ს წარმომადგენელი.
- 5.2 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:
 - „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოს აღწერა;
 - „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება;
 - „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალი.

6. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

- 6.1 სამუშაოს შესრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 84 კალენდარული დღის განმავლობაში.
- 6.2 სამუშაოს შესრულების ადგილი: განისაზღვრება: ქალაქი რუსთავი.



7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

- ა) წებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
- ბ) სამუშაოს სრულ და ჯეროვნად შესრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
- გ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად ან ხარისხობრივად ნაკლები სამუშაო.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტში;
- ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შესრულება დანართი №1-ის და ასევე ელექტრონულ სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად ატვირთული ნახაზების შესაბამისად.
- გ) შესრულებულ სამუშაოზე საგარანტიო ვადა: საბოლოო მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელი.
- დ) მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით, სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის და ასევე ელექტრონულ სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად ატვირთული ნახაზების შესაბამისად.
- ე) „შემსყიდველი“ უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს შესრულებული სამუშაოებისა და გამოსაყენებელი ძირითადი სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლი, რომელთა ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.
- ვ) ხელშეკრულებას თან ერთვის სამუშაოების წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახური (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწვევის უფუქციები:

- ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
 - ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
 - გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწვევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.
- 8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარვეზების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.


9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5% -ის ოდენობით.
- 9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- 9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.


10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 10.1 ხელშეკრულებაში წებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემსყიდველი



მიმწოდებელი



- 10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
- 10.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს გარეშე პირობების გათვალისწინებით მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

- 11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
- 11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
- 11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

- 12.1 ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ხელშეკრულების ღირებულების 5%), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, მოქმედებს 2015 წლის 6 აპრილიდან 2016 წლის 7 მარტის ჩათვლით.
- 12.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ/არაჯეროვნად შესრულების გამო.
- 12.3 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი


ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები


„შემსყიდველი“
 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
 მის.ქ.რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი №20
 საიდენტიფიკაციო კოდი №216433287
 სახელმწიფო ხაზინა
 ხაზინის ერთიანი ანგარიში
 ბ/კ № TRESGE22
 ა/ა № GE24NB0330100200165022



„მიმწოდებელი“

შპს „ნიუმშენი“
 მის: ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. №1
 საიდენტიფიკაციო კოდი №401944134
 სს „პროკრედიტბანკი“
 ბ/კ № MIEGGE22
 ა/ა № GE96PC0303600100014735

შპს „ნიუმშენი“-ს დირექტორი



ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: ალექსი ნავროზაშვილი

3

ქ. რუსთავეში თბილისი-ჩითელი ხიდის გზატკეცილზე საინჟინერო ქსელის მოწყობის
 (შსს მომსახურების სააგენტოდან 24-ე კოლომეტრამდე) სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზ.	რაოდ.	მასალა		ხელფასი		მექანიზმი		ჯამი
				ერთ.ფა სი	სულ	ერთ.ფა სი	სულ	ერთ.ფა სი	სულ	
I. ღია არხის მოწყობა										
1	ტრანშეის დამუშავება ექსკავატორით მიწის ადგილზე დაყრით	მ ³	9993,00		0,00	1,00	9993,00	2,50	24982,50	34975,50
2	გრუნტის ხელით დამუშავება	მ ³	999,30		0,00	10,00	9993,00		0,00	9993,00
3	ლომორულის ჟიკაზე გადამსვლელთან ღია კოლექტორისთვის გრუნტის მოთხრა ექსკავატორით	მ ³	50,00		0,00	1,00	50,00	2,50	125,00	175,00
4	დ-1000 რკ.ბ. მიღების მოწყობა	გრკ.მ.	555,00	240,00	133200,00	20,00	11100,00	10,00	5550,00	149850,00
5	ბაღასტის შემოტანა მიწით	მ ³	1200,00	3,00	3600,00	1,00	1200,00	2,00	2400,00	7200,00
6	რკ.ბ. ქის რგოლები დ-1500 h=1000	ც	4,00	300,00	1200,00	25,00	100,00	15,00	60,00	1360,00
7	რკ.ბ. მირის ფოლა დ-1500	ც	2,00	150,00	300,00	10,00	20,00	10,00	20,00	20,00
8	რკ.ბ. გადახურვის ფოლა დ-1700 თუჯის ლუქით	ც	2,00	450,00	900,00	10,00	20,00	5,00	10,00	10,00
9	ქის ძირზე საფუძვლის მომზადება ფრაქციული ღორღით სისქით 10 სმ.	მ ³	0,64	5,00	3,20	1,00	0,64	2,00	1,28	5,12
10	ქის კედლების გახვრეტა და მიერთება ადგილების შელესვა ცემენტის ხსნარით	ადგ	4,00	6,00	24,00	5,00	20,00		0,00	0,00
11	ზედმეტეი გრუნტის გატანა ა/თვითმცლელუბით 5 კმ. მანძილზე	ტ	1609,50		0,00		0,00	2,00	3219,00	3219,00
12	არხ. მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთა	გრკ.მ.	2700,00		0,00	1,00	2700,00	0,50	1350,00	4050,00
13	მშენებარე გზის კოლექტორთან მიერთება	ადგ	1,00	150,00	150,00	50,00	50,00	100,00	100,00	300,00
II. გზაუბრანი ნიადავრამტერი არხის მოწყობა 0,64X0,62 L=15მ										
14	ტრანშეის დამუშავება ექსკავატორით მიწის ადგილზე დაყრით	მ ³	9,20		0,00	1,00	9,20	2,50	23,00	32,20
15	გრუნტის ხელით დამუშავება	მ ³	0,90		0,00	10,00	9,00		0,00	9,00

38	არს. მიწისქვეშა კომუნკაციების გადაკვეთა	გრძ.მ.	25,00			0,00	1,00	25,00	0,50	12,50	0,00	37,50
IV. თბილისის ქუჩაზე გადასვლათან კოლექტორის მოწყობა												
39	ტრანშეის დამუშავება ექსკავატორით მიწის ადგილზე დაყრით	მ ³	77,00			0,00	1,00	77,00	2,50	192,50	0,00	269,50
40	გრუნტის ხელით დამუშავება	მ ³	7,70			0,00	10,00	77,00		0,00		77,00
41	ზედმეტი გრუნტის გატანა ა/თავიანდელელებით ნაყარში 5 კმ. მანძილზე	ტ	84,70			0,00		0,00	2,00	169,40		169,40
42	კოლექტორის ძირზე საფუძვლის მომზადება	მ ³	4,00	5,00		20,00	2,00	8,00	2,00	8,00		36,00
43	ფრაქციული ღორით სისქით 20 სმ.	მ ³	10,30	180,00		1854,00	50,00	515,00	4,00	41,20	0,00	2410,20
44	ბეტონი მ-300	ტ	0,154	1600,00		246,40		0,00		0,00		246,40
45	არმატურა დ-14 A-III	ტ	0,149	1600,00		238,40		0,00		0,00		238,40
46	არმატურა დ 8 A-III	ტ	0,60	550,00		330,00	50,00	30,00	10,00	6,00		366,00
47	ცალიობის ფიცარი	მ ³	0,60			0,00		0,00		0,00		0,00
V. თბილისის ქუჩაზე გადასვლელი სანიაღვრე ხაზის მოწყობა												
47	ტრანშეის დამუშავება ექსკავატორით მიწის ადგილზე დაყრით	მ ³	573,00			0,00	1,00	573,00	2,50	1432,50	0,00	2005,50
48	გრუნტის ხელით დამუშავება	მ ³	57,00			0,00	10,00	570,00		0,00		570,00
49	თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის გადაკვეთა დაჭირხენის მეთოდით	გ.მ.	20,00	180,00		3600,00	15,00	300,00	10,00	200,00		4100,00
50	გარსაცმის მოწყობა დ-800 ფოლ. მილით	გ.მ.	20,00	180,00		3600,00	15,00	300,00	10,00	200,00		4100,00
51	ქვიშის საფენი-საფარის მოწყობა ვლ. მილზე	მ ³	273,40	3,00		820,20	1,00	273,40	2,00	546,80		1640,40
52	ვლასტმასის გოფირებული მილების დ-500, SN-8 მოწყობა	გრძ.მ.	292,00	75,00		21900,00	1,00	292,00	2,00	584,00		22776,00
53	ქვიშის რკ.ბ. რეგოლები დ-1000 h=1500	ც	1,00	300,00		300,00	25,00	25,00	15,00	15,00		340,00
54	ქვიშის რკ.ბ. რეგოლები დ-1000 h=1000	ც	7,00	150,00		1050,00	10,00	70,00	10,00	70,00		1190,00
55	რკ.ბ. მილის ფილა დ-1000	ც	4,00	100,00		400,00	10,00	40,00	5,00	20,00		460,00
56	რკ.ბ. მილის ფილა დ-1200 თუჯის ლექით	ც	4,00	350,00		1400,00	10,00	40,00	5,00	20,00		1460,00
57	ქვის ძირზე საფუძვლის მომზადება ფრაქციული ღორით სისქით 10 სმ.	მ ³	0,72	5,00		3,60	1,00	0,72	2,00	1,44		5,76
58	ქვის კედლების გახრება და მიერთება ადგილების შევსება ცემენტის ხსნარით	აღმ	9,00	6,00		54,00	5,00	45,00		0,00		99,00


59	ასფალტის ფენის მონგრევა ჰნ. ჩაქურით ა/თვითმცლებზე	მ ³	3,00				0,00	30,00	90,00	2,00	6,00	96,00
	დატვირთვით და გატანით	მ ³	4,00	5,00	20,00	2,00	8,00	2,00	2,00	2,00	8,00	36,00
60	ასფალტის ქვეშ ღორღის ფენის მოშადება (20სმ)	მ ³	243,00	3,00	729,00	1,00	243,00	2,00	2,00	2,00	486,00	1458,00
61	ბალასტის შემოტანა მიერთ	მ ²	20,00	30,00	600,00	5,00	100,00	5,00	5,00	5,00	100,00	800,00
62	ა.ბ. საფარის აღდგენა	ადგ	1,00	6,00	6,00	5,00	5,00	5,00	5,00	5,00	0,00	11,00
63	ანს. ჭის კედლების გახერცვა და მიერთება ალგილების	ადგ	1,00									
	შელესვა ცემენტის ხსნარით	ტ	1060,00		0,00		0,00		0,00	2,00	2120,00	2120,00
64	ზედმეტი გრუნტის გატანა ა/თვითმცლებით ნაცარში	ტ	1060,00		0,00		0,00		0,00	0,50	146,00	438,00
	5 კმ. მანძილზე	გ.მ.	292,00		0,00	1,00	292,00	0,50	0,50	0,50	0,00	0,00
65	არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთა	გ.მ.	292,00		0,00		0,00		0,00		0,00	0,00
	*VI. (ლომლოურის ქუჩაზე გადასვლელი საწიადვრე ხაზის მოწყობა											
	ტრანშეხვის დამუშავება ექსპეკტორით მიწის აღდგოზე	მ ³	688,00		0,00	1,00	688,00	2,50	2,50	2,50	1720,00	2408,00
66	დაყირით	მ ³	68,80		0,00	10,00	688,00				0,00	688,00
67	გრუნტის ხელით დამუშავება	გ.მ.	20,00		0,00	40,00	800,00	15,00	15,00	15,00	300,00	1100,00
	ობილიხი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის	გ.მ.	20,00	400,00	8000,00	20,00	400,00	20,00	20,00	20,00	400,00	8800,00
68	ზადაკვეთა დაჭირების მეთოდით	გ.მ.	20,00							5,00	775,00	41075,00
69	გარსადგმის მოწყობა და-1600 ფოლ. მილით	გ.მ.	155,00	240,00	37200,00	20,00	3100,00	5,00	5,00	5,00	30,00	210,00
70	და-1000 რკ.ბ. მილებს მოწყობა	გ.მ.	60,00		0,00	3,00	180,00	0,50	0,50	0,50	30,00	210,00
71	არსებული ბეტონის ბორდოურების დემონტაჟი	მ ³	10,80		0,00	30,00	324,00	2,00	2,00	2,00	21,60	345,60
72	ასფალტის ფენის მონგრევა ჰნ. ჩაქურით ა/თვითმცლებზე	მ ³	10,80		0,00	30,00	324,00	2,00	2,00	2,00	21,60	345,60
	დატვირთვით და გატანით	მ ³	2,00	350,00	700,00	25,00	50,00	15,00	15,00	15,00	30,00	780,00
73	ჭების რკ.ბ. რეოლები და-1500 h=1500	მ ³	4,00	300,00	1200,00	25,00	100,00	15,00	15,00	15,00	60,00	1360,00
74	ჭების რკ.ბ. რეოლები და-1500 h=1000	მ ³	3,00	150,00	450,00	10,00	30,00	10,00	10,00	10,00	30,00	510,00
75	რკ.ბ. მირის ფილა და-1500	მ ³	3,00	450,00	1350,00	10,00	30,00	5,00	5,00	5,00	15,00	1395,00
76	რკ.ბ. გადახურვის ფილა და-1700 თუჯის ლუქით	მ ³	3,00	450,00	1350,00	10,00	30,00	5,00	5,00	5,00	15,00	500,00
	ადგ	ადგ	1,00	200,00	200,00	150,00	150,00	150,00	150,00	150,00	150,00	500,00
77	ანს. კოლექტორთან დაერთება	მ ³	21,60	5,00	108,00	2,00	43,20	2,00	2,00	2,00	43,20	194,40
78	ასფალტის ქვეშ ღორღის ფენის მიშადება (20სმ)	მ ³	474,40	3,00	1423,20	1,00	474,40	2,00	2,00	2,00	948,80	2846,40
79	ბალასტის შემოტანა მიერთ	მ ²	108,00	30,00	3240,00	5,00	540,00	5,00	5,00	5,00	540,00	4320,00
80	ა.ბ. საფარის აღდგენა	გ.მ.	60,00	15,00	900,00	5,00	300,00	3,00	3,00	3,00	180,00	1380,00
81	ბეტონის ბორდოურების მონტაჟი	გ.მ.	60,00	15,00	900,00	5,00	300,00	3,00	3,00	3,00	180,00	1380,00

82	არსებული სანაღვერე კოლექტორის გაწმენდა მექანიზმით	სთ	20,00		0,00	5,00	100,00	19,09	381,80	481,80
83	ქის მიერთების ადგილების შელუქვა ცემენტის ხსნარით	აღზ	6,00	6,00	36,00	5,00	30,00		0,00	66,00
84	შედმეტი გრუნტის გატანა ა/თვიომცლდლებით ნაყარში 5 კმ. მანძილზე	ტ	950,90		0,00	1,00	155,00	2,00	1901,80	232,50
85	არსებული მიწისქვეშა კომუნკაციების გადაკვეთა	გ.მ.	155,00		0,00		48784,9	0,50	52251,6	338662,8
	ჯამი				237626,3					4752,5
	სატრანსპორტო ხარჯები %2									343415,3
	ჯამი									17170,8
	ზედნადენი ხარჯები %5									360586,1
	ჯამი									18029,3
	გემიური დაგროვება %5									378615,4
	ჯამი									1893,1
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები %0.5									380508,5
	ჯამი									68491,5
	დ.დ.გ. 18%									449000,0
	ჯამი									

შ.პ.ს. „ნიუმენის“-ს
დირექტორი:



ა. მახაშვილი /
ს. ხშირი





005205515

ექსპერტის დასკვნა № 005205515

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმოტექნიკის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმეორება ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დანიშნავი :<

სტრუქტურა: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი

ექსტრუქტურა: ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახური

თანამდებობა: სამსახურის უფროსი

მისამართი:

სახელი და გვარი: ალექსი ნავროზაშვილი

საფუძველი: მომართვა

შესრულებული ექსპერტები :

ბესარიონ ბარბაქაძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმოტექნიკის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 8 წლის სტაჟით

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გაცნობით, რომ ქალაქ რუსთავში დასრულდა ბიუჯეტით გათვალისწინებული სამუშაოების გარკვეული ნაწილი, რომელიც ექვემდებარება საექსპერტო ზედამხედველობას. თანახმად ჩვენს შორის 2015 წლის 08 იანვარს გაფორმებული N2000017315 ხელშეკრულებისა, გთხოვთ ჩაუტაროთ საბოლოო საინჟინრო და სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა, ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილზე სანიაღვრე ქსელის მოწყობით სამუშაოებს.

შემოსვლის თარიღი: 20.07.2015წ

გასვლის თარიღი: 02.09.2015წ

დასკვნა

შპს „ნიუმენი“-ს მიერ, ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილზე შესრულებული სამშენებლო სამუშაოების (სანიაღვრე ქსელის მოწყობა) მოცულობები შეესაბამება წარმოდგენილ ფორმა N2-ებში მოცემულ სამუშაოთა მოცულობებს, ასევე ფორმა N2-ებში მოცემული სამუშაოთა ერთეული ღირებულებები შეესაბამება წარმოდგენილ სატენდერო ხარჯთაღრიცხვაში მოცემულ სამუშაოთა ერთეულ ღირებულებებს, შესაბამისად. შპს „ნიუმენი“-ს მიერ, აღნიშნულ ობიექტზე წარმოდგენილი სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება, წარმოდგენილი სამუშაოების ფაქტიური მოცულობებისა და სატენდერო ხარჯთაღრიცხვით მოცემული სამუშაოთა ერთეული ღირებულებების გათვალისწინებით შეესაბამება წარმოდგენილ ფორმა N2-ებში მოცემულ სამუშაოთა ჯამურ ღირებულებას 436358,00 ლარს, დღგ-ს ჩათვლით, (ვრცლად იხ: გამოკვლევით ნაწილში, ასევე იხ: დანართი - ფორმა N2-ები და ფოტოილუსტრაცია).

ბესარიონ ბარბაქაძე



005205515

ექსპერტის დასკვნა № 005205515

გამოკვლევა

მაშარტის თანახმად დასადგენია, შპს „ნიუმშენი“-ს მიერ, ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილზე შექმნილი სამშენებლო სამუშაოების (სანიაღვრე ქსელის მოწყობა) მოცულობები და ღირებულებები რამდენად შეესაბამება წარმოდგენილ ფორმა N2-ებში მოცემულ სამუშაოთა მოცულობებს და ღირებულებებს აღნიშნულზე წარმოდგენილ იქნა ფორმა N2-ები, ჯამური თანხით 436358.00 ლარზე. წარმოდგენილ იქნა, ასევე ხელშეკრულება, სატენდერო ხარჯთაღრიცხვა და დამკვეთთან შეთანხმებული ფარული სამუშაოების აქტები.

გამოსაკვლევე ობიექტი, შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენლის თანდასწრებით ჩემს მიერ იქნა ადგილზე შესწავლილი, ხოლო სამუშაოებზე ჩავატარე აზომვები, ხოლო ის სამუშაოები, რომელიც განეკუთვნება ფარულ სამუშაოთა კატეგორიას (დირიჟირებული სამუშაოები ფარულია) და რომელთა ზუსტი მოცულობების დადგენა ექსპერტიზის ჩატარების პერიოდისათვის ტექნიკურად შეუძლებელი იყო, აღნიშნულ სამუშაოებზე წარმოდგენილ იქნა დამკვეთთან შეთანხმებული ფარული სამუშაოების დამოწმების აქტები, რომელიც ექსპერტიზის მიერ დასკვნის მომზადების დროს იქნა გათვალისწინებული, შესაბამისად დადგინდა შემდეგი: შპს „ნიუმშენი“-ს მიერ, ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილზე შექმნილი სამშენებლო სამუშაოების (სანიაღვრე ქსელის მოწყობა) მოცულობები შეესაბამება წარმოდგენილ ფორმა N2-ებში მოცემულ სამუშაოთა მოცულობებს, ასევე ფორმა N2-ებში მოცემული სამუშაოთა ერთეული ღირებულებები შეესაბამება წარმოდგენილ სატენდერო ხარჯთაღრიცხვაში მოცემულ სამუშაოთა ერთეულ ღირებულებებს, შესაბამისად: შპს „ნიუმშენი“-ს მიერ, აღნიშნულ ობიექტზე შექმნილი სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება, წარმოებული სამუშაოების ფაქტობრივი მოცულობებისა და სატენდერო ხარჯთაღრიცხვით მოცემული სამუშაოთა ერთეული ღირებულებების გათვალისწინებით შეესაბამება წარმოდგენილ ფორმა N2-ებში მოცემულ სამუშაოთა ჯამურ ღირებულებას 436358.00 ლარს, დღგ-ს ჩათვლით. (იხ: დანართი - ფორმა N2-ები და ფაქტილუსტრაცია).

ბესარიონ ბარბაქაძე

გამოყენებული მასალები

- მაშარტა N02/4490
- ფორმა N2-ები
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N06/28
- სატენდერო ხარჯთაღრიცხვა (SPA150007914)
- დამკვეთთან შეთანხმებული ფარული სამუშაოების აქტები
- სამშენებლო ნორმები და წესები"

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი

ბ. კახელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

მიღება-ჩაბარების აქტი

„11“ 09

საქართველოს რუსთაველი წარმოებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების
მიმღები ჯგუფის შემადგენლობა:
(დაკავებული თანამდებობების ჩვენებით)

ნოდარ შეროზია - ჯგუფის ხელმძღვანელი
ქალაქ რუსთავეის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ჯგუფის წევრები

1. ზურაბ ტაბაღუა - ქალაქ რუსთავეის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მ.შ.
2. ზაზა ზარნაძე - ქალაქ რუსთავეის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი
3. ეკატერინე პაპუაშვილი - ქალაქ რუსთავეის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი

1. ხელშეკრულების ნომერი და თარიღი: №06/28 6.04.2015 წ.



2. ობიექტის დასახელება: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილზე სანიტარულ ქსელის მოწყობა

3. ობიექტის აღზიდვების ადგილი: ქალაქი რუსთავეი

ა) ხელშეკრულებით: 449000 ლარი

4. ობიექტის მთლიანი ღირებულება:

ბ.) ფაქტური: 436358 ლარი

5. ობიექტი აშენებულია პროექტით: შპს "BNB"


6. შემსრულებელი: შპს "ნიუმშენი"

მისაღები ობიექტის ძირითადი მახასიათებლები		შენიშვნა
1	2	3
1	მშენებლობის დაწყება (თვე წელი) აპრილი 2015წ	
2	მშენებლობის დამთავრება (თვე წელი) ივლისი 2015 წ.	
3	ძირითადი სომები:	
4	არმატურა, ფოლადის კუთხოვანები, ბეტონი, ფოლადის ტილები, ჯების რ.ბ.რბოლები.	
5	ძირითადი მასალები:	
	სხვა მახასიათებლები	

დოკუმენტის დასკვნა: სამუშაო შესრულებულია პროექტის შესაბამისად, ს.6 და 7-ის


დანართი აქტზე: შესრულების ფორმა №2, ანბარიშუქატურა.

ჯგუფის ხელმძღვანელი



ნოდარ შეროზია

ჯგუფის წევრები:




1. ზურაბ ტაბაღუა

2. ზაზა ზარნაძე




ეკატერინე პაპუაშვილი



შემსრულებელი

შპს "ნიუსშენი"



ტექნიკური ზედამხედველი:

11.09.2015

ექსპერტიზის დასკვნა № 005205515 02.09.2015წ.
ფორმა №2-ეგზი მოცემული სამუშაოთა
ერთეული ღირებულებები შეესაბამება
სატენდერო ხარჯთაღრიცხვაში მოცემულ
სამუშაოთა ერთეულ ღირებულებებს.
სამუშაოთა ჯამური ღირებულება შეადგენს
436 358 ლარს დღგ-ს ჩათვლით.